

კომუნიკაცია

თქვენ ბავშვს სულ უფრო დიდი წიგნები და მოთხრობები აინტერესებს. მას უკვე შეუძლია მოთხრობის ან თავისი მოგონილი ისტორიის მოყოლა. ხშირად სვამს კითხვას „რატომ?“ შეუძლია დეტალურად აღწეროს გარკვეული შემთხვევა ან მოვლენა, ხოლო თანმიმდევრობის დასაცავად შეიძლება თქვენი დახმარება სჭირდებოდეს. მან უკვე იცის სიტყვებისა და ასოების მნიშვნელობა და ნაცნობ ადგილებში ზოგიერთი სიტყვის წაკითხვასაც ახერხებს. იცის საკუთარი სახელი და გვარი, ცნობს დაწერილ თავის სახელს.

სასაუბრო წიგნი

თქვენს ბავშვს ამოაჭრევენეთ საინტერესო სურათები ჟურნალებიდან ან გაზეთებიდან. ჩააკარით ეს სურათები რვეულში - თითო სურათი თითო გვერდზე. აირჩიეთ რომელიმე და სთხოვეთ აღწეროს: „მომიყვები ამ სურათის შესახებ, რა ფერებს ხედავ? ეს ძალიან მოწყენილია თუ მხიარული?“ ნახეთ, შეძლებს თუ არა თქვენი ბავშვი თითო სურათზე ორ ან სამი რაიმის თქმას.

აბა დავთვალთ

ავტობუსით ან მანქანით მგზავრობისას დაათვალიერეთ გარშემო არსებული საგნები და დააჯგუფეთ კატეგორიების მიხედვით. მაგალითად მოძებნეთ ბორბლიანი, მაღალი ან სხვადასხვა ფერის საგნები. წინასწარ შეარჩიეთ კატეგორია და მოამბნინეთ ბავშვს. მაგალითად, თქვენ უთხარით: „აბა, რამდენ ცხოველს დავინახავთ?“ შეგიძლიათ მიუთითოთ ცოცხალ ცხოველებზე, ბილბორდებზე ან მაღაზიებზე გამოკრული ცხოველების სურათებზე.

ჩემი მოთხრობები

სთხოვეთ მოიფიქროს რაიმე მოთხრობა, რასაც თქვენ ჩაიწერეთ ფურცელზე. შესთავაზეთ, რომ თხრობის დროს თან დახატოს, რასაც ყვება. შემდეგ ეს მოთხრობები შეინახეთ და გააკეთეთ წიგნი, რომელსაც დაარქმევთ „ჩემი მოთხრობები.“

გამოტოვებული სიტყვა

ნაცნობი სიმღერის ან ზღაპრის მოყოლის დროს შეგნებულად გამოტოვეთ რაიმე სიტყვა და გააკეთეთ პაუზა, რათა თქვენმა ბავშვმა გიკარნახოთ ეს სიტყვა.

გაიმეორე რასაც გავაკეთებ

გაკეთეთ მარტივი მოქმედებები, მაგალითად დაუკარით ტაში და სთხოვეთ თქვენს პატარას: „აბა გაიმეორე, რასაც მე გავაკეთებ.“ დაამატეთ მეორე მოქმედებაც, მაგალითად მუცელზე ხელის დარტყმა. თავიდან ეს ორივემ ერთად გააკეთეთ, შემდეგ კი დამოუკიდებლად გაიმეორებინეთ. დაამატეთ მესამე მოქმედებაც. ნახეთ, შეძლებს თუ არა სამი მოქმედების დამახსოვრებას: ტაში-ტაში, დარტყმა-დარტყმა, ხელები გაშალე-მოხარე. დაამატეთ მოქმედებები ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს ორივესთვის ძალიან სახალისო იქნება!

გართმვა

ითამაშეთ რითმობანა: უთხარით სიტყვა და სთხოვეთ ბავშვს გართმოს და გითხრათ ყურში. თუ თვითონ ვერ მოიფიქრებს, მიეხმარეთ. მაგალითად, უთხარით: „აბა გართმე „ეზო“, მე მოვიფიქრე „რეზო“, შენი ჯერია, შენ რას მოიფიქრებ“. მერე ისევ თქვენ თქვით. როდესაც ამ რითმაზე სიტყვები გამოგელევათ, გადადით სხვა სიტყვაზე. ზოგჯერ შეგიძლიათ დაამატოთ მეორე სიტყვაც და ორი სიტყვის გართმვაზე ითამაშოთ.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენი ბავშვის კოორდინაცია ახლა უფრო უკეთესია. ის დარბის, დაცოცავს, ქანაობს და უფრო ადვილად იცავს წონასწორობას. შეუძლია იხტუნოს, იცეკვოს და ცალ ფეხზე დამდგარი გაჩერდეს 1 წამზე მეტ ხანს. შეუძლია სწორ ხაზზე სიარული ისე, რომ ჯერ დადგას ქუსლი და შემდეგ ტერფის წინა ნაწილი. გადადის ყირაზე როგორც პირდაპირი, ასევე გადატანილი მნიშვნელობით.

საიდუმლო მოგზაურობა	სახლში, ქუჩაში ან პარკში სთხოვეთ ბავშვს გამოგყვეთ საიდუმლო მოგზაურობაში. იარეთ, მიდით მაცივართან, შემოუარეთ საწოლს, გადაახტით ბალახს, იარეთ უკუსვლით, ჩამოსრილდით. როდესაც მორჩებით, შემდეგ მისი ჯერია, ის გაგიძღვეთ საიდუმლო მოგზაურობაში.
დაჭერა	ეს კარგი ასაკია, რომ დაიწყოთ ხელბურთის თამაში. გამოიყენეთ საშუალო ზომის ისეთი რბილი ბურთი, რომ თუ სადმე მოხვდება, არ ეტკინოს. შეახსენეთ, რომ დასაჭერად გაშლილი ხელები წინ უნდა გამოსწიოს. თავიდან ახლო მანძილიდან ესროლეთ ბურთი, შემდეგ გაზარდეთ მანძილი და ესროლეთ დაახლოებით 160-170 სმ-დან. „კარგად დაიჭირე!“
გაშეშობა	დაუპარით მუსიკა და იცეკვეთ ერთად (ან სხვა ბავშვებთან ერთად). როდესაც მუსიკას გამორთავთ, ყველა უცებ უნდა გაჩერდეს. უთხარით, რომ უნდა გაშეშდეს იმ პოზაში, რასაც აკეთებდა (ცალ ფეხზე, წინ მოხრილი ან ფეხის წვერებზე დამდგარი). თქვით: „წავიდა!“, ისევ ჩართეთ მუსიკა და ყველამ უნდა გააგრძელოს ცეკვა.
ტომრის გადაგდება	წინდაში ჩაყარეთ მშრალი ყინული, ლობიოს მარცვლები ან პატარა კენჭები. გამოუპარით თავი. დააყენეთ ბავშვი ხაზთან და ასროლინეთ ეს წინდის ტომარა პატარა ყუთში. როდესაც ის სროლას კარგად ისწავლის, ცოტა კიდევ დააშორეთ სამიზნე. შეიძლება ტომარა ასროლინოთ ზემოთ აწეული ან ქვემოთ ჩამოწეული ხელებით.
ხტუნვა	როდესაც თქვენი პატარა შეძლებს ორივე ფეხზე ხტუნვას, ასწავლეთ როგორ უნდა გადაახტეს დაახლოებით 10 სმ-ს სიმაღლის ბარიერს. გამოიყენეთ წიგნი ან კუბები. მოსინჯეთ, შეძლებს თუ არა ორივე ფეხის ერთდროულად ზემოთ აწევას: „ყოჩაღ, შენ ძალიან მაღლა ახტი!“
ბეისბოლი	გამოიყენეთ რაიმე მრგვალი მსუბუქი პლასტმასის ნივთი საშუალო ზომის ბურთის მაგივრად. მოიქნოს ბავშვმა პლასტმასის ჯოხი ან მუყაოს რულონი (სამზარეულოს ქაღალდის ხელსახოცის) თქვენ ნასროლ ბურთზე მოსახვედრად. როდესაც ის ბურთს ჯოხს მოარტყამს, უნდა გამოიქცეს „სახლში“ - თქვენს გაშლილ მკლავებში!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვის თითების კუნთები უკვე საკმაოდ ძლიერია, უკეთ ახერხებს ხატვას და წერას. მას შეუძლია ადვილად ააწყოს ფაზლი ან ლეგოს სათამაშო, ააცვას მძივი. უფრო იოლად იყენებს მაკრატელს და დახმარების გარეშე კარგად გამოსდის ფურცლის სწორ ხაზზე გაჭრა. შეიძლება შეძლოს მარტივი ფიგურების გამოჭრა.

ჟურნალიდან ამოჭრა და დაწებება

მიეცით თქვენს პატარას ძველი ჟურნალი, კატალოგი ან წერილები და უსაფრთხო მაკრატელი. ამოაჭრევიანეთ სურათები და დააკრევიანეთ ფურცელზე. ეს დაეხმარება ბავშვს სწავლაში. სთხოვეთ მას, მოძებნოს და ამოჭრას გარკვეული კატეგორიის სურათები. მაგალითად, საყვარელი საკვები, ხილი, მანქანები, ტანსაცმელი ან ცხოველები.

დამალული ღილი

მიეცით ბავშვს დიდღილებიანი ტანსაცმელი ან შეგიძლიათ თქვენს ტანსაცმელზე შეიხსნათ ღილები, ვითომ ღილი დამალობანას გეთამაშებათ: იმალება და შემდეგ თავს გამოყოფს. შეკვრის შემდეგ კი გამოჩნდება: „უი, აქ ყოფილხარ ბატონო ღილო! დაგიჭირე!“

საჩუქრის შეფუთვა

მიეცით ბავშვს პატარა ყუთი, შესაფუთი ქაღალდი (ან გაზეთის ფერადი გარეკანი) და ლენტის. დაჭერით ქაღალდი მოსახერხებელ ზომაზე. სთხოვეთ, რომ ამ ქაღალდში გაახვიოს საჩუქარი, ვითომ ვინმეს უნდა აჩუქოთ. შეგიძლიათ ლენტის შეკვრაში მიეხმაროთ: „შეხედე, შენ ის შეფუთე!“

მორგება და დატრიალება

დააგროვეთ სხვადასხვა ზომის ცარიელი ქილები და მათი ხრახნიანი თავსახურები. გარეცხეთ და კარგად გაამშრალეთ ისინი. აჩვენეთ, როგორ უნდა თავსახურის მორგება ქილაზე ან ბოთლზე და შემდეგ კარგად მოჭერა. ქილას მოარგოს ხოლმე თავისი თავსახური და მოუჭიროს.

ხელსაწყოებით გართობა

ათამაშეთ ბავშვი სხვადასხვა ხელსაწყოებით. აჩვენეთ, როგორ უნდა დიდი ქანჩის ქანჭიკზე მოჭერა. ასწავლეთ ჩაქურჩის გამოყენებით მოკლე ლურსმის ფიცარზე დაჭედება, აჩვენეთ სახრახნის თავის განიერ ხრახნზე მორგება, დატრიალება და ბოლომდე მოჭერა. უთხარით, რა მოხერხებული მშენებელია!

აბაზანის გახეხვა

ბანაობის შემდეგ, გაახეხინეთ აბაზანა. მიეცით თავისი ღრუბელი ან ნაჭერი (არ გამოიყენოთ სახეხი ხსნარები!). გაწმინდოს ის ადგილები, სადაც წყალი ესხა. როდესაც დაამთავრებს, კარგად გააწურინეთ ღრუბელი ან ნაჭერი: „რა კარგი დამხმარე ხარ!“

ხელოვანის სამუშაო გარემო

შეუქმენით კრეატიული გარემო ბავშვს. შემოსაზღვრეთ ადგილი, სადაც თქვენს ბავშვს ექნება თავისი ინსტრუმენტები: ქაღალდი, მარკერი, წებო, მაკრატელი, ძაფები, სტიკერები, ლენტები. სთხოვეთ, შექმნას ნამუშევარი, რა ფორმითაც მოესურვება. შემდეგ სთხოვეთ, დააწეროს თავისი სახელი ან თქვენ გიჩვენოთ სად უნდა სახელის დაწერა. გამოძებნეთ სახლში გამოფენის ადგილი, რომ ყველამ ნახოს. ახლა კი ალაგების დროც მოვიდა! ©

ცომით თამაში

გააკეთეთ სათამაშო ცომის გუნდა: 2 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა მარილი, 1 ჩაის კოვზი ზეთი, 1 ჭიქა წყალი. სუფთა ხელებით აურიეთ ყველაფერი ერთმანეთში. მიეცით ცომის გასაბრტყელებელი დაფა. დაუყარეთ ცოტა ფქვილი ხელებზე, რომ არა მიეწეოს. აუცილებლად მოეწონება ცომის მოზელა, ფორმის მიცემა, დაჭრა. ცომი შეინახეთ მაცივარში. დაიხმარეთ და ბავშვს მოაწმენდინეთ დასვრილი მაგიდა სველი ნაჭრით.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენი ბავშვი სწავლობს ნივთების დათვლას და უკვე შეუძლია სამამდე ან ოთხამდე დათვალოს. სავარაუდოდ 10-მდეც ითვლის. მისი ცოდნა სამყაროს შესახებ იზრდება. ის ხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო ისეთ მარტივ სიტყვებს, როგორც არის ზემოთ და ქვემოთ. ანსხვავებს საგნებს და იცის, რა არის მათ შორის მსგავსება. ხვდება ცვლილების ტიპს და ხარისხს, როგორც არის „დათბა, აცივდა, ცხელა“ ან „სიგრძელე, სიცივე, ყინვა“.

რა როლის მოხდა

მოაყოლეთ ბავშვს წარსული ამბავი. შეგიძლიათ შემდეგი ფრაზით დაიწყოთ: „გაიხსენე, რა მოხდა ... (შესთავაზეთ რაიმე შემთხვევა)“ გააგრძელეთ კითხვების დასმა: „რა მოგეწონა ყველაზე მეტად? შემდეგ რა მოხდა? მერე კიდევ რა მოხდა?“

გამოცნობა

მშვიდ გარემოში ითამაშეთ გამოცნობა. მოიფიქრეთ ვინმე, ვისაც ბავშვი კარგად იცნობს და მიეცით მინიშნებები. ნახეთ, თუ შეძლებს ამ ადამიანის გამოცნობას: „ის არის ხუჭუჭთმიანი.“ როდესაც გამოიცნობს, შემდეგ თქვენი გამოცნობის ჯერია. შეგიძლიათ ოქროს თევზიც კი აღწეროთ.

ფერებზე ნადირობა

მოაწყვეთ ფერებზე ნადირობა. უთხარით: „შეგიძლია იპოვო რაიმე ლურჯი და მომიტანო?“ როდესაც დაბრუნდება, დაავალეთ სხვა ფერის ნივთის მოძებნა. თუ ის შეცდომით სხვა ფერს მოგიტანს, უთხარით: „შენ მე მწვანე წინდა მომიტანე. შეგიძლია ლურჯი მომიტანო?“ დაეხმარეთ მინიშნებით, მაგალითად, ხელში დაიჭირეთ ლურჯი ფურცელი, როდესაც ის რაიმე ლურჯს ეძებს.

სად წავიდა?

თავზე ან სადმე უჩვეულო ადგილას დაიდეთ ხელთათმანი ან სხვა ნივთი და ჰკითხეთ: „სად არის ხელთათმანი?“ როდესაც ის სწორად მიუთითებს, შემდეგ ჰკითხეთ სად უნდა იყოს სინამდვილეში: „ჩემს თავზე? მართლა?“ გაერთედ ამ სულელური თამაშით. სცადეთ სხვა ნივთებთანაც, მაგალითად, ჩადეთ საპონი საჭმლის ჭურჭელში.

რას აკეთებ, როცა...

დაუსვით ბავშვს მარტივი შეკითხვები: „რას აკეთებ, როცა დადლილი ხარ?“ „რას აკეთებ, როცა გშია?“ „რას აკეთებ, როცა სველდები?“ ნახეთ, შეძლებს თუ არა ის შესაბამისი პასუხების გაცემას. ისაუბრეთ ამის შესახებ.

რომელია ზედმეტი?

შეაგროვეთ სამი ერთმანეთის მსგავსი ან ერთი კატეგორიის საგანი, როგორცაა მაგალითად სამი ლიმონი. დაამატეთ მეოთხე განსხვავებულ, როგორც არის მაგალითად საპონი. ჰკითხეთ ბავშვს, რომელია ზედმეტი. ასევე შეგიძლიათ აარჩიოთ სამი საგანი აბაზანიდან (საპონი, შამპუნი, ტუალეტის ქაღალდი) და მეოთხედ დაამატოთ სახრახნისი: „რომელია ზედმეტი?“

რითმობა

ითამაშეთ რითმობა. შეგიძლიათ პირველი ნაწილი თქვენ დაიწყოთ: „მე ავიღე გალია და დავხატე.....“ დაასრულოს ბავშვა იმ სიტყვით, რომელიც ერთმეზა გალიას, მაგალითად „კალია“. სთხოვეთ თვითონაც მოიფიქროს რაიმე რითმა.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენმა ბავშვმა უკვე იცის რიგის დაცვა და თავისი ჯერის დადგომამდე მოცდა. მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად გამოსდის თანატოლებთან თამაში, ჯერ კიდევ სჭირდება თქვენი ჩარევა წამოჭრილი პრობლემის მოსაგვარებლად. მისი ემოციები უფრო ძლიერია და თუ დაუსახელებთ, ხვდება თუ რას ნიშნავს ესა თუ ის გრძნობა. მას უყვარს ტანსაცმლის დამოუკიდებლად შერჩევა და უფრო უკეთ გამოსდის თავისით ჩაცმა.

არაჩვეულებრივი მერიქიფე

ჭამის დროს თქვენს ბავშვს მიეცით საშუალება თვითონ დაგისხათ. მიაწოდეთ ნახევრად სავსე პატარა დოქი ან ჭიქა და მიეცით საშუალება, რომ თვითონ დაისხას რძე ჭიქაში ან მოასხას ბურღულს, დაისხას წყალი, წვენი ან რძე და დაუსხას სხვებსაც. იყავით მომთმენი. წინასწარ მოიმზადეთ მაგიდის ხელსახოცი. წარმატების შემთხვევაში აუცილებლად შეაქეთ.

კარნავალი

მოუგროვეთ სხვადასხვა ტიპის ტანსაცმელი - არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ დიდი ზომის მაისურები, ყელსახვევები, ქუდები, კაბები, ფეხსაცმელები ან განიერი ნაჭრები. შეარჩიეთ სხვადასხვა თემა, მაგალითად პლაჟზე გასვლა ან წვეულებისთვის მზადება. მოამბნინეთ შესაფერისი ტანსაცმელი და მოაზომეთ. თქვენც მოძებნეთ რაიმე თქვენთვის. ბავშვებს უყვართ დიდების მიზამვა. ჩაცმის პროცესში ბავშვმა თვითონ შეიკრას ღილები, კნობები ან ელვა შესაკრავი. დაინტერესდით: „წვეულებაზე მიდიხარ?“

მოლაპარაკე თოჯინები

წარმოსახვითი თამაშისთვის თოჯინები საუკეთესო საშუალებაა. გამოიყენეთ ნაყიდი ან ხელნაკეთი თოჯინები. შეგიძლიათ თქვენ თვითონ დახატოთ ადამიანი ან ცხოველი, ამოჭრათ და დააკრათ მუყაოზე ან დახატოთ სახე ქაღალდის პაკეტს და ხელი შეყოთ. აამოძრავეთ თითები და „ლაპარაკეთ.“ ერთი გმირი თქვენ იყავით, მეორე - თქვენი შვილი. ისაუბრეთ გამოგონილი ხმებით.

დამხმარე

უთხარით თქვენს პატარას, რომ ის განსაკუთრებული დამხმარეა. დაიხმარეთ რეცხვის დროს, ცხობისას, ცხოველების გამოკვებისას, დაგვის და ჭურჭლის გარეცხვის დროს. მიეცით შედარებით უფრო მეტი დრო, დამწყებებს ეს სჭირდებათ[©] თქვენი დახმარება ბავშვის ყოველდღიური საოჯახო რუტინის ნაწილი გახდება. შექება არ გამოგრჩეთ!

არჩევანის გაკეთება

შესთავაზეთ თქვენს შვილს არჩევანის გაკეთება სხვადასხვა დროს, მათ შორის თავის მოვლის დროს. მაგალითად თვითონ აირჩიოს როდის გამოიხეხოს კბილები, ღამის პერანგის ჩაცმამდე თუ შემდეგ. აარჩევინეთ ვახშმის მენიუ ორ ვარიანტს შორის.

მეგობრის დამშვიდება

თამაშის დროს ხშირად ერთ-ერთი ბავშვი რაიმე მიზეზით განაწყენდება ხოლმე. აჩვენეთ თქვენს ბავშვს, როგორ უნდა მეგობრის დამშვიდება მსუბუქი შეხებით ან ჩახუტებით. ასწავლეთ ისეთი დამამშვიდებელი ფრაზები, როგორიცაა: „ხომ კარგად ხარ?“ ეს თანაგრძნობა მისთვის კარგი გაკვეთილი იქნება, რომელიც მეგობრების შექმნასა და შენარჩუნებაში გამოადგება.

სხვადასხვა მიმიკა

მიმიკით გამოხატეთ სხვადასხვა გრძნობები თქვენს ბავშვთან ერთად. ვითომ ბედნიერი, მოწყენილი, გაოცებული ან გაღიზიანებული ხართ. აჩვენეთ მას მოღუშული სახე ან ვითომ ტირით და ბავშვმა გამოიცნოს. ახლა კი თქვენმა შვილმა სცადოს იგივე!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.